შპს „თიბისი კაპიტალი”

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5

სრული შემოსავლის ანგარიშგება 6

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 7

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 9
2. მომზადების საფუძვლები 9
3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 12
5. ფული და ფულის ეკვივალენტები 15
6. სხვა აქტივები 15
7. გადასახადები 16
8. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში 16
9. არამატერიალური აქტივები 19
10. იჯარები 19
11. საწესდებო კაპიტალი 20
12. სხვა ვალდებულებები 20
13. ამონაგები 21
14. სხვა შემოსავალი 21
15. პერსონალის ხარჯები 21
16. სხვა ხარჯები 21
17. კაპიტალის მართვა 22
18. პირობითი ვალდებულებები და აქტივები 22
19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 23
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 24
21. ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკა 24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "თიბისი კაპიტალის" დამფუძნებელსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ **შპს „თიბისი კაპიტალის"** (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს" მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის" ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის **SARAS-A-735032**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

13 აპრილი, 2023 წელი

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "თიბისი კაპიტალის" დამფუძნებელსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ **შპს „თიბისი კაპიტალის"** (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს" მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის" ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

შპს ბიდიო აუდიტი (ს/კ 205145403) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის **SARAS-A-735032**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

13 აპრილი, 2023 წელი

შპს „თიბისი კაპიტალი”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	7,399,396	4,514,463
სხვა აქტივები	6	531,467	836,571
საგადასახადო აქტივი	7	21,115	1,443
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	8	1,168,462	1,273,621
არამატერიალური აქტივები	9	840,729	394,471
აქტივის გამოყენების უფლება	10	62,609	112,696
სულ აქტივები		**10,023,778**	**7,133,265**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	1,938,295	2,338,295
გაუნაწილებელი მოგება		6,912,731	3,889,999
სულ კაპიტალი		**8,851,026**	**6,228,294**
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	10	76,725	130,794
სხვა ვალდებულებები	12	1,096,027	774,177
სულ ვალდებულებები		**1,172,752**	**904,971**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**10,023,778**	**7,133,265**

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 13 აპრილს შემდეგი პირის მიერ:

მმართველი დირექტორი _____ მერი ჩაჩანიძე

9-29 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თიბისი კაპიტალი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	7,399,396	4,514,463
სხვა აქტივები	6	531,467	836,571
საგადასახადო აქტივი	7	21,115	1,443
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	8	1,168,462	1,273,621
არამატერიალური აქტივები	9	840,729	394,471
აქტივის გამოყენების უფლება	10	62,609	112,696
სულ აქტივები		**10,023,778**	**7,133,265**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	1,938,295	2,338,295
გაუნაწილებელი მოგება		6,912,731	3,889,999
სულ კაპიტალი		**8,851,026**	**6,228,294**
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	10	76,725	130,794
სხვა ვალდებულებები	12	1,096,027	774,177
სულ ვალდებულებები		**1,172,752**	**904,971**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**10,023,778**	**7,133,265**

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 13 აპრილს შემდეგი პირის მიერ:

მმართველი დირექტორი _____ მერი ჩაჩანიძე

9-29 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თიბისი კაპიტალი"

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	13	8,366,405	3,704,085
სხვა შემოსავალი	14	358,395	2,402,663
პერსონალის ხარჯები	15	(2,954,540)	(1,942,320)
ცვეთა და ამორტიზაცია		(114,664)	(71,936)
სხვა ხარჯები	16	(2,359,208)	(1,438,535)
საოპერაციო მოგება		**3,296,388**	**2,653,957**
ფინანსური შემოსავალი (ხარჯი), წმინდა		125,216	154,659
საკურსო სხვაობიდან მიღებული (ზარალი), წმინდა		(298,218)	(186,959)
შემოსულობა (ზარალი) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების ღირებულების ცვლილებიდან		4,505	(7,583)
მეკავშირე საწარმოების მოგების (ზარალის) წილი და გაუფასურება	8	(105,159)	(822,080)
მოგება დაბეგვრამდე		**3,022,732**	**1,791,994**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**3,022,732**	**1,791,994**

შპს „თიბისი კაპიტალი”

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	**3,022,732**	**1,791,994**
კორექტირებები:		
შემოსულობა (ზარალი) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გადაფასებიდან	(4,505)	7,583
მეკავშირე საწარმოს ზარალის წილი და გაუფასურება	105,159	822,080
ცვეთა და ამორტიზაცია	114,664	71,936
ფინანსური შემოსავალი	(138,347)	(173,984)
ფინანსური ხარჯი	13,131	19,325
კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოშობილი ზარალი, წმინდა	298,218	186,959
	3,411,052	**2,725,893**
ზრდა/კლება:		
ზრდა საგადასახადო აქტივებში	(19,672)	(8,267)
შემცირება/ (ზრდა) სხვა აქტივებში	209,819	(786,449)
ზრდა სხვა ვალდებულებებში	233,607	136,264
	3,834,806	**2,067,441**
მიღებული პროცენტები მიმდინარე ანგარიშებიდან	138,347	173,984
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	**3,973,153**	**2,241,425**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
არამატერიალური აქტივების შეძენა	(508,277)	(160,814)
მოკლევადიანი ინვესტიციის განხორციელება და ინვესტიციის გაყიდვიდან მიღებული ფული, წმინდა	27,046	27,096
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(481,231)**	**(133,718)**
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
საიჯარო ვალდებულების ძირის გადახდა	(54,069)	(47,875)
საიჯარო ვალდებულების პროცენტის გადახდა	(13,131)	(19,325)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(400,000)	(350,000)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(467,200)**	**(417,200)**
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა	**3,024,722**	**1,690,507**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4,514,463	2,999,286
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულისა და ფულის ეკვივალენტებზე	(139,789)	(175,330)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	**7,399,396**	**4,514,463**

9-29 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თიბისი კაპიტალი”

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი მდგომარეობით	**2,688,295**	**2,098,005**	**4,786,300**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,791,994	**1,441,994**
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(350,000)	-	**(350,000)**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი მდგომარეობით	**2,338,295**	**3,889,999**	**6,228,294**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,022,732	**2,622,732**
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(400,000)	-	**(400,000)**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,938,295**	**6,912,731**	**8,851,026**

9-29 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თიბისი კაპიტალი“ დაფუძნდა 1999 წელს. თიბისი კაპიტალი მოიაზრება თიბისი ბანკის კორპორატიული და საინვესტიციო ჯგუფის ნაწილად და წარმოადგენს ლიცენზირებულ საბროკერო ფირმას. თიბისი კაპიტალის ძირითადი საქმიანობა მოიცავს კორპორაციული ფინანსებისა და საკრედიტო სარეიტინგო საკონსულტაციო მომსახურებას, სესხისა და აქციების კაპიტალის ბაზრების, საბროკერო და კვლევით მიმართულებებს. თიბისი კაპიტალი, ასევე, არის საქართველოს საფონდო ბირჟის აქციონერი და მონაწილეობს მის ინფრასტრუქტურულ განვითარებაში.

კომპანიის ზედამხედველია საქართველოს ეროვნული ბანკი. კომპანიას ეროვნული ბანკისგან განსაზღვრული აქვს კაპიტალის სავალდებულო მინიმალური მოცულობა, რომელიც შეადგენს 500,000 ლარს, კომპანია აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, დამატებითი ინფორმაცია მარეგულირებლის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე იხილეთ მე-17 განმარტებით შენიშვნაში.

შპს „თიბისი კაპიტალის“ 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენდა სს „თიბისი ბანკი“ 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად. ძირითადი მაკონტროლებელი მხარე გახლდათ საჯარო პასუხისმგებლობის კომპანია TBC Bank Group PLC, რომელიც რეგისტრირებულია გაერთიანებულ სამეფოში.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 38 და 29 თანამშრომელი, შესაბამისად. კომპანიის მმართველი დირექტორია მერი ჩაჩანიძე.

კომპანიის საქმიანობის ადგილს წარმოადგენს: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. #7.

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს–ები) შესაბამისად.

ფასს-ების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. მსჯელობის საფუძველზე ხელმძღვანელობამ უნდა გამოიყენოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკები მოცემულია 21-ე შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა სხვა ინვესტიციებისა, რომლის კლასიფიკაციაც არის ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით (იხილეთ ფინანსური ინსტრუმენტების სააღრიცხვო პოლიტიკა).

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და მეწილეებს სურვილი აქვთ, განავითაროონ კომპანია საქართველოში.

ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი გაურკვევლობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2022 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება: 2018-2020 ციკლი. 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოაქვეყნა შემდეგი სტანდარტების მცირე შესწორებები: ფასს 1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები, ბასს 41 სოფლის მეურნეობა და ფასს 16 იჯარის საილუსტრაციო მაგალითები.

კონცეპტუალური მიდგომა (შესწორება - ფასს 3). 2020 წლის მაისში, IASB-იმ გამოაქვეყნა ფასს 3-ის კორექტირება, რომელიც განაახლებს მითითებას ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებზე ისე, რომ მნიშვნელოვნად არ ცვლის სტანდარტის მოთხოვნებს საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით. შესწორება შეეხება გამონაკლისს საწარმოთა გაერთიანებისას ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების აღიარების ძირითადი მიდგომიდან და ხვდება ბასს 37 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივების და ფასიკ 12 მომსახურებაზე კონცენსიური შეთანხმებების მოქმედების სფეროში.

ბასს 16 ძირითადი საშუალებები (შესწორება - შემოსავალი აქტივის მიზნობრივ გამოყენებამდე). 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოსცა ბასს 16-ის შესწორება, რომელიც კრძალავს საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან გამოქვითოს ამავე აქტივით წარმოებული საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, სანამ საწარმო მოცემულ აქტივს ამზადებს მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის. ნაცვლად იმისა, რომ მოხდეს აღნიშნულის აქტივის ღირებულებასთან დანეტება, საწარმომ უნდა აღიაროს ასეთ გაყიდვებთან დაკავშირებული შემოსავალი და ხარჯები მოგებასა და ზარალში.

კომპანიის შეფასებით, აღნიშნულ ცვლილებებს არ აქვს არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შემავალი სტანდარტები და შესწორებები

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები. ფასს 17 ნერგავს საერთაშორისო თანმიმდევრულ მიდგომას სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვის მიმართ. ფასს 17-მდე, მთელ მსოფლიოში არსებობდა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვასა და წარდგენასთან დაკავშირებით, ფასს 4 ნებას რთავდა მრავალ (არა-ფასს) სააღრიცხვო მიდგომებს. ფასს 17-ის ძალაში შესვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბევრი მზღვეველისთვის, რაც გულისხმობს არსებული სისტემებსა და პროცესებში ცვლილების შეტანას.

ახალი სტანდარტის ხედვით, სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის და მომსახურების ხელშეკრულების ელემენტებს, ამასთან გამომუშავებული ფულადი ნაკადების დიდი ნაწილი არსებითად ცვალებადია დროთა განმავლობაში. შედეგად, სტანდარტი აყალიბებს შემდეგ მიდგომებს:

- მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების აღიარება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში როდესაც ხდება მომსახურების გაწევა ხელშეკრულების თანახმად;
- სადაზღვევო მომსახურების შედეგების (მათ შორის სადაზღვევო შემოსავლის) წარდგენა სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯებისგან განცალკევებით;
- სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი ცალკეული პორტფელის მიმართ სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის მთლიანად მოგებასა და ზარალში წარდგენასთან ან ნაწილობრივ სრულ შემოსავალში წარდგენასთან დაკავშირებით.

ფასს 17-ის გამოცემის შემდეგ, სტანდარტში შევიდა შესწორებები და მოხდა ძალაში შესვლის თარიღის გადავადება.

კომპანიის შეფასებით აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის" „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით". მოცემული შესწორება იძლევა მითითებას იმის შესახებ, თუ როდის შეიძლება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.

გადავადებული გადასახადი დაკავშირებული ერთი ტრანზაქციიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან (ბასს 12-ის შესწორება). 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა პირველადი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად ბასს 12.5-ს დაემატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გათავისუფლება არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოქვითვად დროებით სხვაობებს.

გ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწვეტილება უკუიჯარის პირობით გაყიდვა ცვლად გადასახდელებთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება.

შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადასახდელები" ან „გადახედილი საიჯარო გადასახდელები", რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ბასს 1 ფინანსური ანგარიშების წარდგენა (შესწორება - ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად, კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენტანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში.

შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს თუ უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, იმ შემთხვევაში თუ საწარმო ვალდებულია შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, თუ საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის" მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით

COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვარიდან.

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

არამატერიალური აქტივების მომსახურების ვადები. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი;

ბიზნესის სხვა სექტორების მსგავსად, კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც კომპანიას წარმოეშობა რისკები, არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,399,396	4,514,463
სხვა ფინანსური აქტივები	477,570	710,704
სხვა ვალდებულებები	1,034,972	723,493
საიჯარო ვალდებულება	76,725	130,794

ზოგადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები

კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბიზნეს რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება. უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებებსა და შესაბამის ხელმძღვანელობაზე.

კომპანიის საერთო მიზანია აამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და ასევე იქნება რეგულირებასთან თანხვედრაში. რისკები ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

კომპანიის საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულია ის აუცილებელი პროცედურები, რომლებიც უნდა ჩატარდეს საკრედიტო რისკის გასანეიტრალებლად.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	ბრიტანული ფუნტი	ევრო	სხვა ვალუტები	2022
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ექვივალენტები	4,658,712	2,409,222	273,813	56,509	1,140	**7,399,396**
სხვა ფინანსური აქტივები	341,199	102,280	17,802	15,981	308	**477,570**
სულ ფინანსური აქტივები	**4,999,911**	**2,511,502**	**291,615**	**72,490**	**1,448**	**7,876,966**
ფინანსური ვალდებულებები						
სხვა ვალდებულებები	1,034,972	-	-	-	-	**1,034,972**
საიჯარო ვალდებულება	76,725	-	-	-	-	**76,725**
სულ ფინანსური ვალდებულები	**1,111,697**	**-**	**-**	**-**	**-**	**1,111,697**
ღია სავალუტო პოზიცია	**3,888,214**	**2,511,502**	**291,615**	**72,490**	**1,448**	

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	ბრიტანული ფუნტი	ევრო	სხვა ვალუტები	სულ
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ექვივალენტები	3,024,966	407,748	492,019	580,452	9,278	**4,514,463**
სხვა ფინანსური აქტივები	51,796	651,013	4,477	3,418	-	**710,704**
სულ ფინანსური აქტივები	**3,076,762**	**1,058,761**	**496,496**	**583,870**	**9,278**	**5,225,167**
ფინანსური ვალდებულებები						
სხვა ვალდებულებები	723,493	-	-	-	-	**723,493**
საიჯარო ვალდებულება	130,794	-	-	-	-	**130,794**
სულ ფინანსური ვალდებულები	**854,287**	**-**	**-**	**-**	**-**	**854,287**
ღია სავალუტო პოზიცია	**2,222,475**	**1,058,761**	**496,496**	**583,870**	**9,278**	

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ.

მგრძნობიარობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოსახულ ფულად აქტივებს და აკორექტირებს მათ კონვერტაციას პერიოდის ბოლოს 20%-ის სხვაობით უცხოურ ვალუტაში.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს ნეტო მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე:

2022	აშშ დოლარის კურსის ცვლილების გავლენა		ბრიტანული ფუნტის კურსის ცვლილების გავლენა		ევროს კურსის ცვლილების გავლენა	
	ლარი/დოლარი + 20%	ლარი/დოლარი - 20%	ლარი/დოლარი + 20%	ლარი/დოლარი - 20%	ლარი/დოლარი + 20%	ლარი/დოლარი - 20%
მოგება/ (ზარალი)	502,300	(502,300)	58,323	(58,323)	14,498	(14,498)

2021	აშშ დოლარის კურსის ცვლილების გავლენა		ბრიტანული ფუნტის კურსის ცვლილების გავლენა		ევროს კურსის ცვლილების გავლენა	
	ლარი/დოლარი + 20%	ლარი/დოლარი - 20%	ლარი/ფუნტი + 20%	ლარი/ფუნტი - 20%	ლარი/ევრო + 20%	ლარი/ევრო - 20%
მოგება/ (ზარალი)	211,752	(211,752)	99,299	(99,299)	116,774	(116,774)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდურობის რისკის გასანეიტრალებლად ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს.

ანგარიშგების თარიღისთვის კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულების დაფარვის ვადა არის ერთ წელზე ნაკლები, გარდა საიჯარო ვალდებულებებისა, რომლის შესახებ ინფორმაციაც შეგიძლიათ იხილოთ მე-10 შენიშვნაში.

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფასს 7-ის შესაბამისად კომპანიას მოეთხოვება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე (დაუკორექტირებელი ფასი);
- დონე 2: პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

კომპანიას აქვს მოკლევადიანი ინვესტიციები აღრიცხული რეალური ღირებულებით.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების, ასევე სხვა მოკლევადიანი ინვესტიციების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში ლარში	4,658,712	2,927,940
ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში უცხოურ ვალუტაში	353,331	311,867
ფულადი სახსრები საბროკერო პლატფორმაზე	2,387,353	1,274,656
	7,399,396	**4,514,463**

დამატებითი ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტებზე შეგიძლიათ იხილოთ მე-4 შენიშვნაში.

კლიენტების მობარებული აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენდა 27,188,777 ლარსა და 19,924,589 ლარს 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად. მოცემულ მობარებულ აქტივებზე კომპანიას არ აქვს კონტროლი და არ არის აღრიცხული ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაში.

6. სხვა აქტივები

სხვა აქტივები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოთხოვნა დაკავშირებული მხარის მიმართ	69,029	624,166
სხვა მოთხოვნები კლიენტების მიმართ	386,000	51,859
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები	22,541	34,679
არაფინანსური აქტივები		
სხვადასხვა მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები	47,429	125,867
სხვა	6,468	-
	531,467	**836,571**

7. გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით კომპანიამ გადასახადები ერთიანი სახაზინო კოდზე უნდა გადაიხადოს, აღნიშნული კოდი გამოიყენება ყველა სახის გადასახადისთვის. შესაბამისად, კომპანია საგადასახადო აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს დანეტებულად. კომპანიას აქვს საგადასახადო აქტივი 21,115 ლარის და 1,443 ლარის ოდენობით 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

8. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2022	2021
1 იანვარი	**1,273,621**	**2,095,701**
გაუფასურება*	-	(696,560)
სხვა ცვლილებები მეკავშირე საწარმოს წმინდა აქტივებში	(17,678)	-
მეკავშირე საწარმოს ზარალის წილი წლის შედეგში	(87,481)	(125,520)
2022 წლის 31 დეკემბერი	**1,168,462**	**1,273,621**

* რადგანაც არსებობდა გაუფასურების ინდიკატორები, კომპანიამ ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში თავად შეაფასა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიას აქვს შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება მსგავსი აქტივების შეფასებაში. შეფასება განხორციელდა რეალური ღირებულების განსაზღვრის იერარქიაში მე-3 დონის ინფორმაციის საფუძველზე.

არა კოტირებული კაპიტალის ინსტრუმენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია შემოსავლების მეთოდის გამოყენებით. შემოსავლების მეთოდი ეფუძნება არა დაკვირვებად მონაცემებს, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შეფასების ობიექტზე. აღნიშნული მონაცემები მოიცავს მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებას და დისკონტირების განაკვეთს.

რეალური ღირებულების შეფასებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები

ფულადი ნაკადების შედგენისას მოხდა შემდეგი მნიშვნელოვანი დაშვებების გამოყენება:

- ფულადი ნაკადების პროგნოზები განისაზღვრა კომპანიის მიმდინარე საოპერაციო შედეგებზე და მომავალ ბიზნეს გეგმაზე დაყრდნობით;
- კომპანიის ბიზნეს გეგმის მიხედვით მომავალი ოთხი წლის მანძილზე იქნება ზარალები, შემდეგი ოთხი წლის მანძილზე ფინანსური ინსტრუმენტების ბაზარზე ყოველწლიურად იქნება ზრდა, რაც გამოხატული იქნება ბირჟაზე A და B კატეგორიის აქციების პირველადი შეთავაზებისა და ობლიგაციების განთავსების ზრდაში;
- ხელმძღვანელობა მომავალში ვარაუდობს ბირჟის საქმიანობის გაფართოებას პროგნოზირებული პერიოდის შემდეგ პერიოდებში, შესაბამისად შემოსავლების და ხარჯების მუდმივი ცვლილების განაკვეთად აღებულია 3%;
- კაპიტალურ დანახარჯებად ნაგულისხმებია აქტივების შენარჩუნების ხარჯები, რომლებიც დათვლილია, როგორც საოპერაციო აქტივების წლიური ცვეთის ტოლი დანახარჯი;
- კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (დადისკონტირების განაკვეთი) განსაზღვრულია კორპორაციული სესხების საშუალო საბაზრო საპროცენტო განაკვეთის და შესაბამისი ბიზნესის რისკის პრემიის გათვალისწინებით შეფასების თარიღისთვის (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 13.8%).

8. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია მეკავშირე საწარმოებზე ინფორმაცია:

დასახელება	დაარსების ქვეყანა ძირითადი საქმიანობის ადგილი	2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული წილი	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული წილი
სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"	საქართველო	17.33%	17.33%
სს "თბილისის საფონდო ბირჟა"	საქართველო	28.41%	28.87%
სს "კავკასრეესტრი"	საქართველო	10.03%	10.03%
სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"	საქართველო	26.49%	26.88%

მეკავშირე საწარმოების ძირითადი საქმიანობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	ძირითადი საქმიანობა
სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"	ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება, საჯარო ვაჭრობის ორგანიზება დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად და დადგენილ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის გავრცელება.
სს "თბილისის საფონდო ბირჟა"	ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება, საჯარო ვაჭრობის ორგანიზება დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად და დადგენილ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის გავრცელება.
სს "კავკასრეესტრი"	კომპანია საზოგადოებებს (ემიტენტებს) სთავაზობს სხვადასხვა მომსახურებებს როგორც ოფისში, ასევე უშუალოდ ემიტენტებთან, უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების რეესტრის ფორმირებას, კონსოლიდაციას, საჯარო და არასაჯარო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების (ემისიის განთავსება, ყიდვა-გაყიდვა, ჩუქება, გირავნობა, ბლოკირება და ა.შ.) დარეგისტრირებას.
სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"	ფასიანი ქაღალდებით საფონდო ბირჟაზე დადებული გარიგებების ანგარიშსწორება და ფასიანი ქაღალდების შენახვა-აღრიცხვა არამატერიალიზებული ფორმით.

მეკავშირე საწარმოების ფინანსური ინფორმაცია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"	*სს "თბილისის საფონდო ბირჟა"*	*სს "კავკასრეესტრი"*	*სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"*
2022 წლის 31 დეკემბერი				
მოკლევადიანი აქტივები	130,815	394,882	288,584	433,722
გრძელვადიანი აქტივები	228,416	2,123,881	59,225	982,712
მოკლევადიანი ვალდებულებები	31,862	25,425	61,335	2,169
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-	-
წმინდა აქტივები	**327,369**	**2,493,338**	**286,474**	**1,414,265**
კომპანიის წილი წმინდა აქტივებში	**56,733**	**708,357**	**28,733**	**374,639**

8. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრისთვის

შემოსავლები	413,063	16,695	134,405	627,818
ხარჯები	(450,179)	(308,207)	(146,735)	(616,468)
მოგება/(ზარალი)	**(37,116)**	**(291,512)**	**(12,330)**	**11,350**

მეკავშირე საწარმოების ფინანსური ინფორმაცია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"	*სს "თბილისის საფონდო ბირჟა"*	*სს "კავკასრეესტრი"*	*სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"*
2021 წლის 31 დეკემბერი				
მოკლევადიანი აქტივები	225,919	509,571	298,996	343,672
გრძელვადიანი აქტივები	231,996	2,289,114	60,740	1,061,742
მოკლევადიანი ვალდებულებები	93,429	13,834	60,932	2,500
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-	-
წმინდა აქტივები	**364,486**	**2,784,851**	**298,804**	**1,402,914**
კომპანიის წილი წმინდა აქტივებში	**63,165**	**803,986**	**29,970**	**377,103**

2021 წლის 31 დეკემბრისთვის

შემოსავლები	422,153	4,286	124,558	476,091
ხარჯები	(460,383)	(280,897)	(155,197)	(609,885)
მოგება/(ზარალი)	**(38,230)**	**(276,611)**	**(30,639)**	**(133,794)**

მეკავშირე საწარმოს პერიოდის შედეგში ინვესტორის მოიცავს ერთ კალენდარულ წელს ანუ პერიოდს 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

9. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	არამატერიალური აქტივები მომზადების პროცესში	საიტი	საოპერაციო პროგრამები	სულ
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**80,463**	**94,099**	**174,562**
შემოსვლა	261,045	12,071	-	**273,116**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**261,045**	**92,534**	**94,099**	**447,678**
შემოსვლა	214,770	17,692	275,815	**508,277**
მოძრაობა	(307,469)	307,469	-	**-**
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**168,346**	**417,695**	**369,914**	**955,955**
დაგროვილი ცვეთა				
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(18,591)**	**(12,768)**	**(31,359)**
მიმდინარე წლის ამორტიზაცია	-	(10,885)	(10,963)	**(21,848)**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(29,476)**	**(23,731)**	**(53,207)**
მიმდინარე წლის ამორტიზაცია	-	(36,989)	(25,030)	**(62,019)**
მოძრაობა	-	-	-	**-**
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(66,465)**	**(48,761)**	**(115,226)**
საბალანსო ღირებულება				
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**261,045**	**63,058**	**70,368**	**394,471**
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**168,346**	**351,230**	**321,153**	**840,729**

* არამატერიალური აქტივები მომზადების პროცესში წარმოადგენს საოპერაციო პროგრამისა და საიტის გაუმჯობესების მახასიათებლებს, როგორიცაა: სავაჭრო პლატფორმების ინტეგრაცია, რეკონსილაციების შექმნა, სხვადასხვა საკომისიოების დამატება და მონაცემების წამოღება სავაჭრო პლატფორმიდან. კომპანიის შეფასებით, ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციონალები ექსპლუატაციაში შევა 2023 წლის II-III კვარტალში.

10. იჯარები

კომპანია ქირაობს საოფისე ფართს ქ. თბილისში. საოფისე ფართი არის ფიქსირებული თანხის მქონე და წარმოდგენილია ლარში. იჯარის ვადა არის ერთი წლის მქონე გაგრძელების უფლებით. კომპანია ფიქრობს, რომ გამოიყენებს ვადის გაგრძელების უფლებას და იჯარის ვადას განსაზღვრავს ხუთი წლით.

აქტივების გამოყენების უფლება შეიძლება წარდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	ოფისი
1 იანვარი 2021	**162,784**
შემოსვლა	-
ამორტიზაცია	(50,088)
31 დეკემბერი 2021	**112,696**
შემოსვლა	**-**
ამორტიზაცია	**(50,088)**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**62,608**

10. იჯარები (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	ოფისი
2021 წლის 1 იანვარი	**178,669**
შემოსვლა	-
პროცენტის ხარჯი	19,325
იჯარის გადახდები	(67,200)
31 დეკემბერი 2021	**130,794**
შემოსვლა	-
პროცენტის ხარჯი	13,131
იჯარის გადახდები	(67,200)
31 დეკემბერი 2022	**76,725**

საიჯარო გადასახდელები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 2 წლამდე	სულ
საიჯარო ვალდებულებები	16,800	50,400	16,800	**84,000**

საიჯარო გადასახდელები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე	სულ
საიჯარო ვალდებულებები	16,800	50,400	67,200	16,800	**151,200**

11. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	%	31 დეკემბერი 2022	%	31 დეკემბერი 2021
სს „თიბისი ბანკი“	100%	1,938,295	100%	2,338,295
	100%	**1,938,295**	**100%**	**2,688,295**

12. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
თანამშრომელთათვის გადასახდელი ბონუსები და კომპენსაციები	993,074	652,453
საკონტრაქტო ვალდებულებები	61,055	50,684
სხვა ვალდებულებები	41,898	71,040
	1,096,027	**774,177**

13. ამონაგები

ამონაგები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2022	2021
საკომისიო ბონდების განთავსებიდან	3,689,074	2,233,776
შემოსავალი სხვა საბროკერო საქმიანობიდან	4,346,381	914,482
შემოსავალი ფინანსური ინსტრუმენტების მეორად ბაზარზე ვაჭრობიდან	314,900	524,898
სხვა	16,050	30,929
	8,366,405	**3,704,085**

14. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2022	2021
საშუამავლო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი ქონების გაყიდვასთან დაკავშირებით	-	2,101,017
სხვა საკონსულტაციო და კვლევითი მომსახურება	358,395	301,646
	358,395	**2,402,663**

15. პერსონალის ხარჯები

პერსონალის ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2022	2021
ხელფასები	(1,793,153)	(1,220,744)
ბონუსები და სხვა სარგებელი	(1,161,387)	(721,576)
	(2,954,540)	**(1,942,320)**

16. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2022	2021
პლატფორმისა და საინფორმაციო ბაზების სარგებლობის ხარჯი	(1,159,904)	(605,636)
მარკეტინგის ხარჯი	(243,524)	(169,639)
საკომისიო ხარჯები	(297,188)	(226,313)
საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული საკონსულტაციო ხარჯები	(273,163)	(252,820)
პროფესიული მომსახურების ხარჯები	(111,052)	(99,351)
დოუ ჯონსის გამოცემის გამოწერა	(59,279)	-
სხვა ხარჯები	(215,098)	(84,776)
	(2,359,208)	**(1,438,535)**

17. კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ისე რომ კომპანიამ გააგრძელოს მფლობელებისთვის უკუგება, და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარ კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

კომპანია 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ, მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც კომპანიის საწესდებო კაპიტალში ფულადი შენატანი არ უნდა იყოს 500,000 ლარზე ნაკლები.

18. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

სასამართლო დავა

ორგანიზაციის ჩვეული საქმიანობის პროცესში დროდადრო მის მიმართ შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული საჩივარი ან სასამართლო დავა. თუმცა, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის მიმართ არ ყოფილა არანაირი მატერიალური სასამართლო დავა.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარშგებაში. მომავალში, დივიდენდების გაცემის შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 1,036,910 ლარი (2021: 583,500 ლარი).

მარეგულირებლის რეგულაციებთან შესაბამისობა

კომპანია რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. კომპანიის მიერ დასაკმაყოფილებელი რეგულაციები მოცემულია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ გამოცემული საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე N145/04 ბრძანებაში.

N145/04 ბრძანებაში 2018 წელს შევიდა ცვლილებები, რომლებიც საბროკერო კომპანიებს ავალდებულებს, რომ მოახდინონ საკუთარი და კლიენტების აქტივების გამიჯვნა და რეკონსილაცია. კომპანია სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, რასთან დაკავშირებითაც ამავე ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად ეროვნულ ბანკს წლიურ აუდიტირებულ ანგარიშგებასთან ერთად წარუდგენს აუდიტორის მიერ მომზადებულ წერილს ხელმძღვანელობისადმი და განცხადებას, რომ საბროკერო კომპანია აკმაყოფილებს N145/04 ბრძანების მე-9 მუხლში შესული ცვლილებით მოთხოვნილ რეგულაციებს.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

		31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
	ურთიერთობის ტიპი	დაკავშირებულ მხარესთან ნაშთები	დაკავშირებულ მხარესთან ნაშთები
ფული და ფულის ეკვივალენტები			
სს „თიბისი ბანკი“	დამფუძნებელი	5,011,918	3,239,631
სხვა ვალდებულებები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	283,992	212,331
სხვა აქტივები	დამფუძნებელი	69,029	661,096

დირექტორების და უმაღლესი ხელმძღვანელობის სხვა წევრების ანაზღაურება 2022 და 2021 წელს შეადგენდა 799,715 ლარსა და 538,141 ლარს, შესაბამისად.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგება მოიცავს კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებში აღიარებულ თანხებს:

		2022	2021
	ურთიერთობის ტიპი	დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციები	დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციები
შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან			
TBC Bank Group PLC	საბოლოო დამფუძნებელი	477,247	985,386
სს „თიბისი ლიზინგი"	სხვა დაკავშირებული მხარე	167,592	4,847
სს „თიბისი ბანკი"	დამფუძნებელი	70,341	-
სს „თიბისი დაზღვევა"	სხვა დაკავშირებული მხარე	699	3,505
ბუცხრიკიძე ვახტანგი	დამფუძნებლის გენერალური დირექტორი	71,515	-
ჩაჩანიძე მერი	დირექტორი	2,813	-
სხვა ხარჯები			
სს „თიბისი ბანკი“	დამფუძნებელი	(17,272)	(11,374)
სხვა შემოსავალი			
სს „თიბისი ბანკი“	დამფუძნებელი	55,085	2,156,102
შპს „თიბისი ფეი“	სხვა დაკავშირებული მხარე	-	100,000
გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია	სხვა დაკავშირებული მხარე	-	25,000
ფინანსური შემოსავალი			
სს „თიბისი ბანკი“	დამფუძნებელი	138,347	173,984

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ ყოფილა ისეთი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას.

21. ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

ფულის და ფულის ეკვივალენტების და სხვა მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი), წმინდა“ უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო	ბრიტანული ფუნტი
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2.7020	2.8844	3.2581
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	3.0976	3.5040	4.1737

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

21. ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

კომპანიის ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს საკომისიოს ობლიგაციების ემისიასთან დაკავშირებით, ასევე საკომისიოს სავაჭრო პლატფორმაზე კლიენტების დავალებით აქციებით ვაჭრობის მომსახურების გაწევისთვის. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა ამონაგების მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

ამონაგები ობლიგაციების გამოშვებიდან და გაყიდვიდან

კომპანია კლიენტებს სთავაზობს ობლიგაციების გამოშვებასთან, შეძენასთან მიმოქცევასთან და მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურებას. მომსახურება მოიცავს ორ ძირითად ვალდებულებას: ობლიგაციების განთავსებას და აგენტის მომსახურებას.

ობლიგაციის განთავსებიდან კომპანია, ამონაგებს აღიარებს ობლიგაციების შემძენისათვის გადაცემის მომენტში.

აგენტის მომსახურება მოიცავს ობლიგაციის გამოშვებასთან, შეძენასთან, მიმოქცევასთან და მიწოდებასთან დაკავშირებულ მომსახურებას, მომსახურების გაწევა ხდება რეგულარულად, ობლიგაციის დაფარვამდე, ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება დროთა განმავლობაში ობლიგაციის ვადის პროპორციულად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების შესაბამისად.

ამონაგები სხვა საბროკერო მომსახურებიდან

კომპანია კლიენტებს სთავაზობს საერთაშორისო საბროკერო პლატფორმაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ მომსახურებას. მომსახურების გაწევა კლიენტის მიერ მოთხოვნილი ტრანზაქციის განხორციელებისას (აქციების ყიდვა, გაყიდვა, თანხების გადარიცხვა და სხვა), დროის კონკრეტულ მომენტში ხდება, აღნიშნულ ოპერაციებზე ამონაგები ტრანზაქციის შესრულების დღეს აღიარდება.

ამონაგები ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე ვაჭრობიდან

კომპანია ვაჭრობს ფასიანი ქაღალდებით მეორად ბაზარზე, რის მიხედვითაც ახდენს ამ სავალო ფასიანი ქაღალდების ყიდვას და შემდგომ გადაყიდვას. ამონაგები აღიარდება ყიდვა/გადაყიდვის ფასს შორის სხვაობით, რომლის შედეგიც აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ტრანზაქციის შესრულების დღეს.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის ამონაგები ობლიგაციებიდან წარმოადგენს ობლიგაციების განთავსების ღირებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ პროცენტს, თითოეული განთავსებიდან მიღებული ამონაგების დაანგარიშება ხდება აღნიშნული განაკვეთით. ობლიგაციის თანმდევი აგენტის მომსახურების წლიური ღირებულება ფიქსირებული თანხაა ყველა კლიენტისთვის.

საბროკერო პლატფორმაზე ვაჭრობის საკომისიო განსხვავდება ფინანსური ინსტრუმენტის და სავაჭრო ბირჟის მიხედვით, საკომისიო განაკვეთები ფიქსირებულია და იდენტურია ყველა კლიენტისთვის.

სავალო ფასიანი ქაღალდებით მეორად ბაზარზე ვაჭრობისას განსაზღვრულია სავაჭრო ინსტრუმენტის ღირებულება წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მხარეებს შორის. შესაბამისად განსაზღვრულია ის ამონაგები, რასაც კომპანია იღებს ამ ტრანზაქციიდან.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტები არის ფიქსირებულ ფასიანი. კონტრაქტში თითოეული ვალდებულებისთვის მითითებულია შესაბამისი საკომისიო.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ფასს 15-ით განსაზღვრული შემდეგი გათავისუფლება: ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ და არარეზიდენტ ბანკებში, საბროკერო ანგარიშებზე განთავსებულ სახსრებსა და მოთხოვნამდე, 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს.

21. ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აისახება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება რეალური ღირებულებით. გარიგების ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამოშვებას (მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა), ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება დაუყოვნებლივ აისახება მოგება/ზარალში რეალური ღირებულებით ასახული პირობით.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფასს 9-ის საფუძველზე, ზოგადად ეფუძნება ბიზნეს-მოდელს, რომელშიც იმართება ფინანსური აქტივი და მისი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ორ გარემოებას და არ განეკუთვნება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ აქტივებს:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

21. ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში. აღნიშნულში შედის ყველა წარმოებული ფინანსური აქტივი.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი, სხვა ინვესტიციების გარდა დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, სხვა ინვესტიციები დაკლასიფიცირდა „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი საწყისი აღიარების შემდეგ, გარდა კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის შეცვლისა. თუ ბიზნეს-მოდელი, რომლის ფარგლებშიც კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს, იცვლება, შესაბამისი ფინანსური აქტივები რეკლასიფიცირდება. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები გამოიყენება პროსპექტიულად ფინანსური აქტივების რეკლასიფიციკაციის შემდგომი საანგარიშგებო პერიოდის პირველი დღიდან.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო ვალდებულებებს, სხვა გრძელვადიან და მოკლევადიან ფულად ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების განაშთვა

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების განაშთვა მაშინ ხდება, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს არამატერიალური აქტივები მომზადების პროცესში, საიტს და ბუღალტრულს და სხვა საოპერაციო პროგრამებს (8-10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირ ან არაპირდაპირ) და არ გააჩნია კონტროლი. მნიშვნელოვან გავლენას როგორც წესი თან ახლავს მეკავშირე საწარმოს წილის 20-50%-ის ფლობა. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს კომპანიის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს კომპანიის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

მეკავშირე საწარმოში დაბანდებულ ინვესტიციებს კომპანია აღრიცხვას კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით. კაპიტალ-მეთოდი ისეთი სააღრიცხვო მეთოდია, რომელიც გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების წმინდა აქტივებში არსებული კომპანიის წილის შეძენის შემდგომი ცვლილების შესაბამისად. კომპანიის მოგება ან ზარალი მოიცავს მის წილს ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში. მიღებული დივიდენდებით მცირდება ინვესტიციის ოდენობა მეკავშირე საწარმოში.

21. ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თუ კომპანიის წილი მეკავშირე საწარმოს ზარალში ტოლია ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოში, კომპანია წყვეტს შემდგომი პერიოდის ზარალში მისი წილის აღიარებას. მას შემდეგ, რაც კომპანიის წილი ნულამდე ეცემა, წარმოიქმნება დამატებითი ზარალი და ხდება ვალდებულებების აღიარება მხოლოდ კომპანიის მიერ მეკავშირე საწარმოს სახელით აღებული იურიდიული და კონსტრუქციული ვალდებულებების ან შესრულებული გადახდების მოცულობით.

ინვესტორსა და მეკავშირე საწარმოს შორის ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი მოგება-ზარალი, ელიმინირებულია ინვესტორის წილის პროპორციულად მეკავშირე საწარმოში.

ინვესტიციის მიმართ გაუფასურების ზარალის შეფასება ხდება ინვესტიციის ამოსაღები თანხის საბალანსო ღირებულებასთან შედარების მეშვეობით. გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში აღიარდება და უქმდება იმ შემთხვევაში თუ ადგილი ჰქონდა ხელსაყრელ ცვლილებას ამოსაღები თანხის განსაზღვრის შეფასებებში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი, ასევე აქციებზე დაფუძნებული გადახდების ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებული ნაწილი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით, რომელიც მოიცავს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით გამოკლებით. აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონიმიკური ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

21. ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ანდაც შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსური ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება სავარაუდოა და ამგვარი ვალდებულებების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება არაა მოსალოდნელი.

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ მათ შესახებ ინფორმაცია იხსნება ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

ანარიცხი არის ვალდებულება გაურკვეველი ვადითა და ოდენობით. ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც წარმოშობილია წარსული მოვლენების შედეგად და რომლიდანაც კომპანია მოელის ეკონომიკური სარგებლის გადინებას. ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ მოვალეობას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს აღნიშნული ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.